საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-09/489

31 ოქტომბერი, 2011 წ **ქ. ბათუმი**

2011–2012 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მობილობის წესით რსუ–ში ჩარიცხულ სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადის გახანგრძლივების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №55 დადგენილებით დამტკიცებული „რსუ–ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“ მე-3 მუხლის, ,,შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2011–2012 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ“ რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 13 ივნისის №77 დადგენილების, ,,სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ რსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №02 გადაწყვეტილების, რსუ-ს საფინანსო–ეკონომიკური დეპარტამენტისა და ფაკულტეტების დეკანატების მონაცემების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2011–2012 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მობილობის წესით რსუ–ში ჩარიცხული სტუდენტებისათვის რსუ–ში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისათვის საბოლოო ვადა განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) რსუ–ს რექტორის 2011 წლის 29 სექტემბრის № 01–09/372 ბრძანებით ჩარიცხულთათვის – 2011 წლის 22 ოქტომბერი;

ბ) რსუ–ს რექტორის 2011 წლის 6 ოქტომბრის № 01–09/392 ბრძანებით ჩარიცხულთათვის – 2011 წლის 29 ოქტომბერი;

გ) რსუ–ს რექტორის 2011 წლის 7 ოქტომბრის № 01–09/397 ბრძანებით ჩარიცხულთათვის – 2011 წლის 31 ოქტომბერი;

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52)

3. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე;

რექტორი, პროფესორი **ა. ბაკურიძე**